საქართველო
ჩხოროწყუს
მუნიციპალიტეტის
საკრებულო

5000საქართველო, ჩხოროწყუ,
ღ. აღმაშენებლის ქ. №1
0(417) 22-01-28.

Georgia
Chkhorotsku
Municipality
Council

5000Georgia, Chkhorotsku,
D. Agmashenebeli st. #1
0(417) 22-01-28.

# დადგენილება № 28

2017 წლის 7 აგვისტო
ღ. ჩხოროწყუ

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" პუნქტის „ბ.ვ" ქვეპუნქტისა და „დ" ქვეპუნქტის „დ.ე" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1.**

განისაზღვროს და დამტკიცდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგირება, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა თანახმად დანართისა.

**მუხლი 2.**

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე" ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს N22 დადგენილება

**მუხლი 3.**

ეს დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე /ბესიკ ესებუა/

დანართი

**ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეთა თანამდებობათა რანგები, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა**

| № | თანამდებობის დასახელება | თანამდებობრივი სარგო (ლარებში) | საშტატო რიცხოვნობა |
|---|---|---|---|
| პოლიტიკური თანამდებობის პირი | | | |
| 1 | საკრებულოს თავმჯდომარე | 2650 | 1 |
| 2 | საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე | 1700 | 1 |
| 3 | საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე | 1350 | 5 |
| 4 | საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე | 1350 | |
| I რანგი (მაღალი მმართველობითი დონე) | | | |
| 5 | საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი | 1000 | 1 |
| II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე) | | | |
| 6 | საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი | 790 | 1 |
| 7 | საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი | 790 | 1 |
| 8 | საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი | 790 | 1 |
| 9 | საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი | 790 | 1 |
| III რანგი (უფროსი სპეციალისტის დონე) | | | |
| 10 | საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 560 | 2 |
| 11 | საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი | 560 | 1 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | სპეციალისტი | | |
| 12 | საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხთა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 560 | 1 |
| 13 | საკრებულოს აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო, აგრარულ, ქონების მართვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 560 | 1 |
| **IV რანგი (უმცროსი სპეციალისტის დონე)** | | | |
| 14 | საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი | 530 | 1 |
| **სულ** | | | **11** |